

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2017-2020 წწ.)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ
ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა¹

მაკროეკონომიკური სტაბილობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

პროგრამის დასახელება - ტექნიკური უსაფრთხოების მაჩვენებლის ზრდა საქართველოში

ა) საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად პროდუქტების ბაზარზე უსაფრთხო განთავსების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან ქართული ტექნიკური კანონმდებლობის დაახლოება

ბ) მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე უსაფრთხოების ზრდა

განმახორციელებელი პროგრამის აღწერა და მიზანი

საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულებით (მათ შორის ამ ხელშეკრულების ნაწილის დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭო სივრცით - DCFTA) განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს საქართველოს ევროპულ სამეზობლო არეალში დასამკვიდრებლად.

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა საჭიროებს დახვეწას, ვინაიდან აღნიშნული კანონმდებლობა მოძველებულია, რიგ შემთხვევებში არ არსებობს შესაბამისი მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები, ამასთანავე, ჯერ კიდევ მოქმედებს ძველი რუსული ტექნიკური ნორმები. ამდენად, ერთ-ერთი მთავარი მიზანია ასევე საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოფხვრა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებით.

პროგრამა ხორციელდება 3 ძირითადი კომპონენტის მეშვეობით:

1. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება;
2. ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითარება ევროკავშირში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

3. საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოსაფხვრელად შესაბამის სფეროებში ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება

1. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება:

საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოება მოიაზრებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების III-A დანართში განსაზღვრული ვადების შესაბამისად, ევროპის ახალი და გლობალური მიდგომის 16 დირექტივასთან დაახლოებას.

2. ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითარება ევროკავშირში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად:

ევროდირექტივების შესაბამისად შემუშავებულ ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებულ პროდუქტებზე ბაზრის ზედამხედველობის სისტემის დანერგვის მიზნით, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება აღნიშნულ სისტემის ხარვეზებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება, შეფასება და შესაბამისი პროცედურების შემუშავება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ასევე, განხორციელდება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (რომელმაც ევროდირექტივების შესაბამისად შემუშავებულ ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებულ პროდუქტების მნიშვნელოვან ნაწილზე უნდა განახორციელოს ბაზარზე ზედამხედველობა) ინსტიტუციური განვითარების გეგმის შემუშავება, ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის შექმნა და სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად.

3. საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოსაფხვრელად შესაბამის სფეროებში ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება

ტექნიკური უსაფრთხოების სფეროს რიგ სექტორებში, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებს ძველი რუსული ნორმები, ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება და მათ გამოყენებით მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტებზე ინსპექტირების განხორციელება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

- ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების პრინციპების გათვალისწინებით შექმნილი და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტები;
- ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით დანერგილი პროდუქტის უსაფრთხოების შემოწმების ახალი მიდგომები და პრინციპები, რომლებიც ასახულია ნორმატიულ აქტებში;

- გაუმჯობესებული ბაზარზე ზედამხედველობის სისტემა, რომელიც დაახლოებულია ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან;
- სააგენტოს საზედამხედველო ობიექტებზე გაუმჯობესებული უსაფრთხოების მაჩვენებელი.

განხორციელების ვადები 2017-2020 წ.

შენიშვნა: პრიორიტეტებში იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა დაწესებულებები ახორციელებენ თავიანთ პროგრამებს.